5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ", მე-11-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის თანახმად ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

6. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისულების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ე ნაკლებია.

7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს შეძენილი ქონები სრული ღირებულება.

9 ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტია ,,ბე" სრულად ირიცხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა)ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

10. თანხა ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა გადაიხადონ შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკის კოდი N TRESGE22. უძრავი ქონების პრივატიზება N 300393390 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან) ვ.შანავს ქუჩაზე მდებარე შენობა -ნაგებობის დემონტაჟზე - N300393313

11. ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების საგენტომ.

12. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებრო ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge

13. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge განთავსება უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურმა.

14. ელექტრონული აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა და ელექტრონული აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

15. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი,რ ლაღიძის ქუჩა N 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბესიკ ფარცვანია